შევეკითხე შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რომელია ყველაზე დიდი ცოდვა ალლაჰის წინაშე? მან თქვა: «დაუდგინო ალლაჰს მოზიარე, როდესაც მან გაგაჩინა შენ

გადმოცემულია აბულლაჰ ბინ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): შევეკითხე შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რომელია ყველაზე დიდი ცოდვა ალლაჰის წინაშე? მან თქვა: «დაუდგინო ალლაჰს მოზიარე, როდესაც მან გაგაჩინა შენ». მე ვთქვი: ჭეშმარიტად ეს მართლა დიდი ცოდვაა, შემდეგ ვკითხე: შემდეგ რომელი? თქვა: «საკუთარი შვილის მოკვლა იმის შიშით, რომ ის შენთან ერთად დაიწყებს ჭამას», ვკითხე: შემდეგ რომელი? თქვა: «მრუშობა მეზობლის ქალთან».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე დიდი ცოდვის შესახებ ჰკითხეს და მან თქვა: ყველაზე მძიმე მათგან არის დიდი შირქი — როდესაც ალლაჰს უტოლებ ან მის მსგავსს მიაწერ ღმერთობაში, მმართველობაში, მის სახელებსა და თვისებებში. ამ ცოდვას უზენაესი ალლაჰი არ შეუნდობს, გარდა მონანიების გზით. თუ ადამიანი მოკვდება შირქში მონანიების გარეშე, ის სამუდამოდ დარჩება ჯოჯოხეთში. შემდეგ ადამიანის მიერ შვილის მოკვლა იმის შიშით, რომ მასთან ერთად შეჭამს. სულიერის მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ცოდვა უფრო დიდია იმ შემთხვევაში, თუ მოკლული იქნება მკვლელის ოჯახის წევრი, და უფრო მეტად იზრდება ცოდვა მაშინ, როცა მკვლელის განზრახვა იყო იმის შიში, რომ მოკლული მას ალლაჰის მიერ ბოძებულ სარჩოში შეეზიარებოდა. შემდეგ კაცი, რომელიც იმრუშებს მეზობლის ცოლთან, ცდილობს მოატყუოს მეზობლის ცოლი, რათა დაიმორჩილოს და იმრუშოს მასთან. მრუშობა აკრძალულია, მაგრამ მისი ცოდვა უფრო დიდია, როცა ეს მოხდება მეზობლის ცოლთან, რომელზეც შარიათმა მოგვიწოდა კეთილად მოპყრობა, სიკეთე და კარგი ურთიერთობა მის მიმართ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5359

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee